

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში გენდერული თანასწორობის 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო მოქმედებს 2018-2019 წწ. სამუშაო გეგმის მიხედვით, რომლის მიზანია:

**1. მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მდგრადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების შექმნა.**

განხორციელებული მოქმედებები:

- შეტანილ იქნა ცვლილება გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებაში და შემადგენლობაში. საბჭოს შემადგენლობას დაემატა რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი, საკრებულოს წევრი.  
დებულება შესაბამისობაშია მოყვანილი დადგენილ სტანდარტებთან.
- დადგენილია გენდერული თანასწორობის მდივნის ფუნქციები.
- საბჭოს სხდომები რეგლამენტირებულია, სხდომები იმართება კვარტალში არანაკლებ ერთისა

**2. გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტის და შიდა სამუშაო გეგმს შექმნა, რაც გულისხმობს პასუხისმგებელი პირის მიერ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმით განსახორციელებელ საქმიანობას:**

- გენდერული თანასწორობის მდივნისთვის შევიმუშავეთ სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი;
- გენდერზე პასუხისმგებელი პირის მიერ შევიმუშავეთ შიდა სამუშაო გეგმა, გაწერილი დროში თვეების მიხედვით;

**3. მუნიციპალიტეტების მერიაში დანიშნულია გენდერული თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელი პირი და შემუშავებულია მისი ფუნქციებისა და უფლებამოსილების განმსაზღვრელი დოკუმენტი:**

- შერჩეული და დანიშნული გვყავს გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი მერიაში;
- გენდერზე პასუხისმგებელი პირის მიერ შემუშავებულია შიდა სამუშაო გეგმა, გაწერილი დროში თვეების მიხედვით;

**4. საკრებულოს ვებ-გვერდზე გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობისა და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ამსახველი მასალების, კვლევების, პუბლიკაციებისა და ანალიტიკური მასალების, ასევე საბჭოს სხდომის ოქმებისა და გადაწყვეტილებების/რეკომენდაციების პროაქტიული გამოქვეყნება ;**

- მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე(chokhatauri.ge, ასევე მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ფეისბუქ გვერდებზე)ვაქვეყნებთ საბჭოს საქმიანობის და

მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ამსახველი მასალებს, რეკომენდაციებს და ფოტო მასალას;

- ვახორციელებთ კოორდინირებული მუშაობას საქართველოს პარლამენტის გენდერულ საბჭოსთან.

**5. მუნიციპალიტეტში და მის დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა) იპ-ებში კადრების შერჩევის, ატესტაციის და სამსახურში აყვანის დროს გათვალისწინებულ იქნას გენდერული სპეციფიკა:**

- საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ერთ-ერთ წევრად განსაზღვრული გვყავს გენდერზე პასუხისმგებელი პირი;
- პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებში გათვალისწინებული გვაქვს ქალთა და კაცთა თანაბარი მონაწილეობა;

**6. უზრუნველყოფილ იქნას ქალთა თანაბარი წარმომადგენლობითობა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე და ქალთა შესაძლებლობების ზრდა ლიდერული პოზიციების დასაკავებლად:**

- ადგილობრივი ხელისუფლების მიერ წახალისებულია ქალთა სამოქალაქო აქტივობები და ხდება ლიდერ ქალთა გამოვლენა; მხარს ვუჭერთ ქალთა მონაწილეობას მუნიციპალიტეტის განვითარებისა და გამლიერებისთვის პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტული პროექტების დასახელებასა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ვადგენთ შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობას გენდერულ ჭრილში;
- ხელს ვუწყობთ ლიდერ ქალთა მონაწილეობას კონკრეტული შეხვედრების დროს. ვადგენთ შეხვედრებში მონაწილე ქალთა და მათ მიერ დასახელებულ პროექტებს;
- მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განახლდა და გენდერული ბალანსი დაცულია;

**7. ჩამოყალიბდეს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი:**

- მოვამზადეთ და ბიუჯეტში გასათვალისწინებლად წარვადგინეთ წინადადებები სამოქმედო გეგმით მომდევნო წლის ღონისძიებების განსახორციელებლად შესაბამისი დაფინანსების გამოყოფის შესახებ;

**8. თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან სამოქალაქო სექტორიდან:**

- საბჭოს უშუალო ჩართულობით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გათვალისწინებულია სამოქალაქო სექტორის მონაწილეობით განხილული და მათ მიერ წამოჭრილი საკითხები;

9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, მუნიციპალური პროგრამები და პროექტები დაგეგმილი და განხორციელებულია ქალების და კაცების, ბიჭების და გოგონების საჭიროებების გათვალისწინებით:

- გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, როგორც გათვალისწინებული რამდენიმე მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამა პროექტი მუნიციპალიტეტის როგორც 2019 წლის, ასევე 2020 წლის ბიუჯეტში. კონკრეტულად,

**„მუხლი 23. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა**

1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/ბენეფიციართა ფულადი დახმარება

1.1 მსხვერპლთა/ბენეფიციართა დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოდგინდეს:

- ა) წერილობითი განცხადება;
- ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) დოკუმენტი ძალადობის მსხვერპლობის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებიდან ან/და სასამართლოდან.
- დ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტების მონაცემები.

1.2 ბენეფიციარის განცხადებას შეისწავლის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში არსებული სამუშაო ჯგუფი და სათანადო დასკვნით განისაზღვრება დახმარების ზუსტი ოდენობა.

1.3 თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თითოეულ ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით 1500 ლარამდე.

2. ჩოხატაურის რაიონული ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციევი ქალებისათვის დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილ უნდა იქნას:

- ა) წერილობითი მოთხოვნა თანადაფინანსებაზე;
- ბ) თანადაფინანსების მომთხოვნის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია;
- გ) დასაფინანსებელი პროგრამა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა;
- დ) პროგრამაში მონაწილე პირთა რაოდენობა და ბენეფიციართა შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში).

3. ძალადობის წინააღმდეგ კვირეულის ფარგლებში (25.11.2019-10.12.2019 წწ) ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობისთვის პროექტის თანადაფინანსების მისაღებად მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ უნდა იქნას:

- ა) წერილობითი მოთხოვნა თანადაფინანსებაზე;
  - მთავრობის ადმინისტრაციის ახალგაზრდულ სააგენტოსთან თანამშრომლობით დავიწყეთ მუშაობა გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებაზე.;

- შევიმუშავეთ გენდერულად დაბალანსებული მუნიციპალური პროგრამები და დავგეგმეთ 2020 წლის სპორტული ღონისძიებები;
- მოვამზადეთ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში განსახორციელებელი პრიორიტეტული პროგრამები, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად;

**10. სოფლად მცხოვრები, მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალურად გააქტიურების მიზნით გათვალისწინებულია მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას გენდერული ასპექტები:**

- მუნიციპალურ პროგრამებში გავითვალისწინეთ შშმ პირთა პირობების გაუმჯობესების მიზნით გამოვლენილი საჭიროებები ;

**11. გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერება გაზრდილია:**

- გარკვეულ დონეზე გავზარდეთ მოსახლეობის ინფორმირებულობა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობაზე, მის ფორმებზე და სახელმწიფოში არსებულ ეროვნულ რეფერალურ მექანიზმებზე;
- ჩავატარეთ მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრები. მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში უზრუნველყოფილი იყო შეხვედრებზე ქალთა მონაწილეობა;
- განვახორციელეთ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 –დღიანი კამპანიის ღონისძიებების გეგმა;
- ჩვენს მიერ ორგანიზებულ იქნა ქალთა უფლებების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ცნობილი კულტურისა და სპორტის წარმატებული ადამიანების მონაწილეობა სხვადასხვა კამპანიებში.
- მუნიციპალიტეტის ხელოვნების სასახლეს მიენიჭა ნინო რამიშვილის სახელი
- შევიმუშავეთ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის/სავარაუდო მსხვერპლთათვის დახმარების პროგრამა;
- დავამტკიცეთ დახმარების პროგრამა მუნიციპალიტეტის მიერ სავარაუდო მსხვერპლებისათვის ;

**გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხებიდან დღემდე ვერ განხორციელდა:**

- არ არის უზრუნველყოფილი ქალთა თანაბარი წარმომადგენლობითობა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე და ქალთა შესაძლებლობების ზრდასთან დაკავშირებული პოზიციების დასაკავებლად;

- არ არის გათვალისწინებული დასაქმებულ ქალთა საჭიროებები, მომუშავე დედებისათვის არ არსებობს ღამის საათებში ბავშვის მოვლის სერვისები;
- მუნიციპალიტეტის მოხელეებისათვის არ ჩატარებულა ტრენინგები ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის ფორმების და მეთოდების, აგრეთვე საინფორმაციო ბაზის ანალიზის საკითხებზე; ამ მიმართულებით არ ხდება ხარჯების გაღება ადგილობრივ ბიუჯეტში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოყოფილი თანხებიდან;
- მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის მიმართულებების მიხედვით არ ჩატარებულა გენდერული აუდიტი; აუდიტის ჩატარება მოითხოვს შესაბამის კვალიფიკაციას. მას როგორც წესი, ატარებს აუდიტის ლიცენზიის მქონე პირი ან ამ სფეროს ექსპერტი. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული ფინანსური უზრუნველყოფა.
- მუნიციპალიტეტის მოხელეებისათვის არ ჩატარებულა ტრენინგები გენდერული მენისტრინგის საკითხებზე;
- არ განხორციელებულა მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტების გენდერული ექსპერტიზა;
- არ შეფასებულა ჩოხატაური მუნიციპალიტეტის მოხელეთა ცოდნის დონე გენდერული თანასწორობის საკითხებზე და გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლებისთვის არ ჩატარებულა ტრენინგები გენდერული თანასწორობის საკითხებზე;
- ვერ მოხერხდა ორგანიზებული საინფორმაციო შეხვედრები თემაზე - ქალთა უფლებები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა. ადრეული ქორწინება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, მოხუცებულთა, ბავშვთა უფლებები და სხვა. სამიზნე ჯგუფებთან: მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, ბაღის პედაგოგები, სკოლის მასწავლებლები, მერიას დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები;
  - დღემდე არ არის მომზადებული მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის გრძელვადიანი სტრატეგია და შესაბამისად, მომდევნო წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა;
  - არ არის შემუშავებული და დანერგილი სამოქმედო გეგმისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა; გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მონიტორინგი, მაგრამ საბჭოს შემადგენლობას არ გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია, დამოუკიდებლად შექმნას შეფასების სისტემა და შესაბამისად, საჭიროებს ექსპერტთა მხარდაჭერას, რაც გარკვეულ ფინანსებს უკავშირდება.
- არცერთხელ არ ჩატარებულა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გენდერული ანალიზი;